თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2846875

ნომერი: AR1441019

თარიღი : 15.09.2016

გაცემის თარიღი : 22.09.2016

გაცნობის თარიღი : 22.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ევგენი ხარაძის ქუჩა N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტარიელ ლელუაშვილი პ/ნ 01019018501
- თბილისი ზესტაფონის ქ. N 7 ბ. 43

ორგანიზაცია:

- შპს მაგისტრალმშენი კოდი: 200074542

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობისა და კარის ღიობის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ევგენი ხარაძის ქუჩა N6-ში, შპს „მაგისტრალმშენი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვს. N 019/035), I კლასის ღობისა და კარის ღიობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „მაგისტრალმშენი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.11.12.019.035 , ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016358774 13/06/2016 წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით, სატრანსპორტოსა და ქონების მართვის სააგენტოს თანხმობები) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ევგენი ხარაძის ქუჩა N6-ში, შპს „მაგისტრალმშენი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვს. N 019/035), I კლასის ღობისა და კარის ღიობის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.